სასურსათო უსაფრთხოება და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პერსპექტივა



ზურაბ ბერიძე,
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტი

XXI საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონე უკიდურესად ნეგატიურია, წარსული განვითარების არაოპტიმალურმა და ხელოვნურმა პირობებმა, გარდამავალი ეტაპის სისტემურმა ჯრიზისებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სრულფასოვანი სურსათისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის არსებობს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური პირობები. პოზიტიურს განეკუთვნება: ხესაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა, აგრომეწარმეობის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ბუნებრივი და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის საკმარისი დონე, რეზერვები, რომელიც ექსტენსიურ განვითარებასთან ერთად, აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდაში, ოპტიმალურ-დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და რეგიონულ მრავალფეროვნებაში, წარსულის გამოცდილება, როცა ჩვენ გვქონდა განვითარების უფრო მაღალი შედეგები.

რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორებს, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კრიზისის პერიოდში ეკონომიკური ზრდის თითქმის ყველა ფაქტორები დაქვეითდა. რეზერვებმა, რომლებიც რეფორმების საწყის ეტაპზე არსებობდა, მკვეთრი დაცემა განიცადეს. ამასთან, აგროპროდუქციის წარმოებისთვის კვლავაც არახელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოა შექმნილი - სამამულო წარმოების პროდუქცია არაპრიორიტეტულ მდგომარეობაშია, ჯერ კიდევ მაღალია კორუფციული ფონი.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კვლავაც განსაკუთრებულ მუქარებად რჩება.

სოფლის მეურნეობის არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა, მისი მაღალი წილი მშპ-ში; სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე; ადგილობრივი პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობა და საგარეო ბაზარზე შეღწევის სირთულე; იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის ეკოლოგიურობის დაბალი ხარისხი; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე; ქვეყნის დამოკიდებულება სტრატეგიული სურსათის იმპორტზე.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მიზნად ისახავს 2020 წლამდე პერიოდში საქართველოში სურსათისადმი ხელმისაწვდომობისა და საკმარისობის, ეკოლოგიურობის ხარისხისა და თვითუზრუნველყოფის მიხედვით ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის პირობების ფორმირებას. ისეთი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა: **სოფლის მეურნეობის განვითარების კვალობაზე კრიზისის დაძლევა, სოფლისთვის ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული და ისტორიული ფუნქციის დაბრუნება.**

აქედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

- **სოფლის მეურნეობის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებისადმი ხელშეწყობა;**
- **სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ფორსირებული ზრდის კვალობაზე მშპ-ში მისი ხვედრითი წონის 7-9%-მდე შემცირება;**
- **სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის ამაღლება;**
- **სასურსათო პროდუქციის იმპორტის წილის შემცირება და ექსპორტის წილის მკვეთრი ზრდა;**
- **სტრატეგიული სურსათით უზრუნველყოფის საკმარისი დონის მიღწევა.**

საქართველოში განვითარებულმა ეკონომიკურმა სიტუაციამ არსებითი გავლენა მოახდინა საწარმოთა შესაძლებლობებზე და არამდგრადი გახდა მათი საქმიანობა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებულ გარემოში ძირითადი სასურ-

სათო პროდუქტების საკუთარი წარმოების მოცულობები დინამიკაში არასტაბილურია, რის გამოც მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლებიც დაბალია ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით და შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ასე მაგალითად, **2009 წელს 2000 წელთან შედარებით 40%-ით შემცირდა ხორბლის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ხოლო 2003 წელთან შედარებით 77,0 %-ით. ანალოგიური სიტუაციაა სხვა პროდუქტებთან მიმართებაშიც** (იხ. ცხრილი1).

კვების პროდუქტების ერთ სულზე წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტიური მოხმარების პარამეტრების დისტრიბუცია ავლენს, რომ მათ შორის ძირითადი კვების პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია. კერძოდ, **2009 წლისთვის პურისა და პურპროდუქტების ფაქტიური მოხმარება წლიურ მინიმალურ ფიზიოლოგიურ ნორმას ჩამორჩება - 9%-ით, კარტოფილი - 37,2%-ით, ბოსტნეული - 62,2%-ით, ხორცი და ხორცის პროდუქტები 67,3%-ით, რძე და რძის პროდუქტები 67,2%-ით, კვერცხი - 57,1%-ით. ამასთანავე, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზისა და თევზის პროდუქტების, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კვერცხის, ხილის, ჩაის მოხმარების მიხედვით აღნიშნული ნეგატიური ტენდენცია გრძელვადიანი ხასიათისაა.**

ქვეყანაში კვების პროდუქტების წარმოებასა და ზღვრულ მოთხოვნილებას შორის არსებული დისპროპორცია ცხადყოფს, რომ სურსათის საკმარისობა ქვეყანაში ნეგატიური პარამეტრებითაა წარდგენილი, დაბალია მოსახლეობის მხრიდან მათზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი. კერძოდ, 2009 წლის მდგომარეობით, ერთი პენსიონერის საშუალო თვიური შემოსავალი 100.0 ლარია მაშინ, როცა საშუალო მომხმარებლისთვის საარსებო მინიმუმი 114.1 ლარს შეადგენს. ამასთანავე, ქვეყანაში პოზიტიური პარამეტრებია შექმნილი კვერცხით (101%), ყურძნით (118%) თვითუზრუნველყოფის მხრივ. მაგრამ დანარჩენი კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი ნეგატიურია, განსაკუთრებით დაბალია სტრატეგიული კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა. ბოსტნეული - 76%. ხორბალი - 8%, ხორცი - 47%, რძე და რძის პროდუქტები - 92%, კარტოფილი - 93%.

თვითუზრუნველყოფის დაბალი დონის ნეგატიურობას ამძაფრებს იმპორტული სასურსათო საქონლის უმეტესწილად დაბალხარისხოვანება და ეკოლოგიური არასაიმედოობა. ამასთანავე, უპირატესად დაბალი ფასების გამო, ისინი ფაქტიურად უშლიან ხელს სამამულო პროდუქციის წარმოების განვითარებას.

სასურსათო უსაფრთხოების ნეგატიური პარამეტრები განპირობებულია XX საუკუნისათვის საქართველოს აგრარულ სექტორში არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ხელოვნური ჩამოყალიბებით, პოსტსოციალისტურ პერიოდში გასაღების ტრადიციული ბაზრების დაკარგვითა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემით. 2009 წლისთვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საბაზო პარამეტრები კვლავაც ნეგატიურია.

პირველი რიგის ამოცანაა ქვეყნისთვის საარსებოდ აუცილებელი და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო პროდუქციის მინიმალურად აუცილებელ დონეზე წარმოება (იხ. ცხრილი 2.).

წარმოების მეორე (ნორმალური პირობები) დონე ქვეყანაში სტაბილურობის საფუძველზე ჩამოყალიბდება და იგი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებას, ქვეყნის

ცხრილი 1.

თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (ერთ სულზე)

პროდუქცია	ფიზიოლოგ. ნორმა (კგ)	2000წ.	2003წ.	2009წ.	2009წ. 2000წ.-თან	2009წ 2003წ.-თან	2009წ. 2000წ.-თან	2009წ. 2003წ.-თან
პური და პურპროდუქტები	120	20	52	12	60	23	-40	-77
კარტოფილი	70	67	98	49	73.1	50	-16.9	-50
ბოსტნეული	140	80	99	37	46.3	37.4	-53.7	-62.6
ხორცი	78	24.5	24.9	12	49	48.2	-51	-51.8
რძის და რძის პროდუქტები	400	141	176	124	88	70.5	-12	-29.5
კვერცხი (მლნ.ც)	210	82	105	97	118.3	92.4	+18.3	-7.6

ცხრილი 2.

ქვეყნის რეალური მოთხოვნილება ძირითად (ადგილობრივ და იმპორტულ) სასურსათო პროდუქტებზე 2009 წ.

პროდუქცია	სულ მოთხოვნილება (ათასი ტონა)	ადგილობრივი წარმოება (ათასი ტონა)	საჭირო იმპორტი (ათასი, ტონა)	ადგ. წარმ. წილი მთლიან მოთხოვნილებაში. %	იმპორტის წილი მთლიან მოთხ.-ში. %
ხორბალი	767	54	713	7	93
კარტოფილი	222	217	5	97.7	2.3
ბოსტნეული	523	170	353	32.5	67.5
ხორცი	244	54.3	189.7	22.3	77.7
რძე და რძის პროდუქტები	1397	551	846	39.4	60.6
კვერცხი (მლნ.ც)	665	431	234	64.8	35.2

ეკონომიკის განმტკიცებას და თავდაცვითუნარიანობის ამაღლებას.

მესამე დონეზე (ხელსაყრელი პირობები) ქვეყანაში გადაწყდება უმნიშვნელოვანესი ამოცანები. შეიქმნება შედარებით საუკეთესო საშინაო და საგარეო პირობები, მიღწეული იქნება ეკონომიკის რეგულირების ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ქვეყანაში შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წარმოებულ იქნას შემდეგი მოცულობით (IV დონე (ნორმატიული დონე)), მარცვლეული 1500-2000 ათასი ტონა, ყურძენი 800-900 ათასი ტონა, ციტრუსი 230-250 ათასი ტონა, კარტოფილი 700-800 ათასი ტონა, ჭარხალი 300-350 ათასი ტონა,ხილი1000-1200 ათასი ტონა, ბოსტნეული 900-1100 ათასი ტონა, ხორცი 300-400 ათასი ტონა, რძე 1200-1400 ათასი ტონა, თევზი 100-120 ათასი ტონა, კვერცხი 1400-1600 მლნ ცალი.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემური კრიზისის ხანგრძლივ და მტკივნეულ გზაზე აგრარულ სექტორში არსებული რესურსების დიდი ნაწილი არაეფექტიანად გაიხარჯება. ამასთან, გარკვეული რეზერვები, კრიზისის დაძლევის შიგადარგობრივი ფაქტორები კვლავაც არსებობს. ისევე, როგორც მთლიანად ეკონომიკაში, აგრარულ სექტორშიც, წარმოების ზრდა მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნის სტიმულირებასა და რაციონალურ სავაჭრო-სატარიფო პოლიტიკას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სამ პრიორიტეტს: ინვესტიციებს, ექსპორტსა და მცირე ბიზნესს დაეყრდნობა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა აგრარულ სექტორში სწორედ ამ მიმართულებების განვითარებას უზრუნველყოფს.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი გახდება წარმოების ფაქტორთა (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი, სამთავრობო რეგულირება) გამოყენების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება და ამ ეკონომიკურ ბერკეტთა ამოქმედების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდა. **დღეისათვის საქართველოში მიწის ფაქტორი მესამედითაც არ არის ამოქმედებული. ქვეყანაში დამუშავებაში, მყოფი ერთი ჰექტარი დაახლოებით 1200 (2009წ) დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქციას იძლევა, როცა ნორმატიული გაანგარიშებით მისგან შესაძლებელია 3-ჯერ მეტის მიღება. მითუმეტეს, რომ სახნავის მოცულობით (0.16 ჰა) საქართველო ისეთი განვითარებული ქვეყნების გვერდითაა, როგორიცაა: საფრანგეთი (0.16 ჰა), ინგლისი (0.14 ჰა), ბელგია (0.12 ჰა), ჰოლანდია (0.11 ჰა).**

დიდი რეზერვებია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ექსტენსიური ზრდის თვალსაზრისით. კერძოდ, შესაძლებელია 2015 წლისთვის 2003 წელთან შედარებით დამუშავებაში მყოფი მიწა (სახნავი, მრავალწლიანი ნარგაობა) გაიზარდოს 136 ათასი ჰექტარით. აქედან, სახნავის ფართობი გაიზრდება 106 ათასი ჰექტარით, ხოლო მრავალწლიანი ნარგაობის - 30 ათასი ჰექტარით.

მნიშვნელოვანი რეზერვებია ინტენსიური განვითარების თვალსაზრისითაც: სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის მსოფლიო საშუალო დონემდე ამაღლება.

სასურსათო უსაფრთხოების და მასზე მოქმედი ფაქტორების კვლევა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრშია. იგი განსაკუთრებული ინტერესის საგანია საქართველოსთვის, სადაც

მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ადაპტირება და რადიკალური აგრარული გარდაქმნები. ამ პრობლემების აქტუალობას კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები და სურსათზე ფასების ზრდის ტენდენცია, აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის შემცირების მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული აგრარული ეკონომიკის საბაზო ურთიერთობებთან ადაპტირების, აგრარული სექტორის ინტენსიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარეშე.

ამ საკითხების გადაჭრის აუცილებელი პირობაა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, აგრარული სექტორის განვითარების საერთო სახელმწიფო პროგრამები და ქვეყნის სწორი საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა.

აგრარულ სფეროში მოქნილი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით საჭიროა შემოღებულ იქნას მიწის კოდექსი.

ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და პროგნოზური გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ რადიკალური ღონისძიებების განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოების დაცემა კვლავ გაგრძელდება, დაირღვევა აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო სტრუქტურა, ქვეყანა მოექცევა განვითარებული ქვეყნების სრულ სასურსათო დამოკიდებულებაში.

მრავალ ქვეყანაში მომხდარი გარდაქმნების ანალიზის შედეგად შეიძლება ერთი საერთო დასკვნის გაკეთება: **რეფორმების ჩატარებისას პირველ პლანზე წამოიწია შოკურმა თერაპიამ, ფასების სწრაფი ზრდით და საწარმოზე დაწესებული უკიდურესად მაღალი გადასახადებით. განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული ფასების გათავისუფლების მექანიკური გადმოღება სრულიად უსარგებლო გამოდგა საქართველოსთვის.**

საქართველოს პირობებში არსებული ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის არსებობისას, საქონლის უზარმაზარი დეფიციტის პირობებში ფასების გათავისუფლება თვითნებურად არის ამოგლეჯილი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობიდან.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ცხადია, დაკავშირებულია დროებით სიძნელეებთან, მაგრამ არა ისეთი გიგანტური მასშტაბებით, როგორც ამას აქვს ადგილი დღეს საქართველოში. ფასების გაბერვა ძირს უთხრის ეკონომიკას, არღვევს კვლავწარმოების ნორმალურ სვლას, ქმნის დაბრკოლებებს თვით მეურნეობრიობის პროცესის აღრიცხვა-ანგარიშსწორებაში, ხელოვნურად აქცევს გამოსადეგარ წარმოებას, მის სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენებას.

მიზანშეწონილია ეკონომიკური რეფორმის დაწყება ერთი დიდი ღონისძიებათა „პაკეტის“ მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივმართოთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, სადაც ფერმერობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული. უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან მატერიალური მხარდაჭერა. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემის, ფერმერული მეურნეობების გადასახადის და იმ პროგრამის სრულყოფა, რაც სტიმულს მისცემდა ფერმერებს კაპიტალი დააბანდონ წამოწყებაში, ფერმერთა სოციალური უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვაში.

არსებითად ეს არის განვითარებული ქვეყნების აგრარული პოლიტიკა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი სწორი პოლიტიკის წარმართვისათვის. დასავლეთის ქვეყნები საქართველოსგან პრინციპულად განსხვავებულ ურთიერთობებს აგებს თავის მოქალაქეებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენთან სულ უფრო პოპულარული ხდება განსახელმწიფოებრიობის იდეა, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს მოქალაქეთა მისწრაფებებიდან.

ANNOTATION

FOOD SAFETY AND PROSPECT OF MAINTENANCE OF THE POPULATION BY THE FOOD STUFFS

Zurab Beridze

In the work «Food safety and prospect of maintenance of the population by the foodstuffs » are considered questions of food safety of the population of Georgia. On the basis of the analysis of statistics of self-maintenance at scientific level is calculated the real requirement of the population on the basic food products (local and import) which maintenance should be carried out on the basis of agriculture development.

Predicted indicators are accordingly offered and well-based, the conclusions and offers are made on value and a role of development of agrosector in business of food safety and poverty overcoming in the country.